პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალგაზრდა სტალინელი

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის, რექტორატის, კომკავშირის კომიტეტისა და პროფკომის ორგანო

Ахалгазрда Сталинели — орган парткома, ректората, комитета ЛКСМ и профкома Тбилисского государственного университета имени И. В. СТАЛИНА

გამოცემის მერვე წელი

№ 4 (246)

პარასკევი, 20 თებერვალი, 1959 წ.

ფასი 20 კაპ.



ჩვენს უნივერსიტეტში მოთავსებულ აგიტპუნქტს ძირითადად იურიდიული ფაკულტეტიდან გამოყოფილი აგიტატორები ემსახურებიან.

# ღრმად შევისწავლოთ სკკპ XXI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI რიგგარეშე ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს უდიდესი აღფრთოვანებით შეეგება მთელი საბჭოთა ხალხი. ეს იმიტომ, რომ,—როგორც ამხ. ხრუშჩოვმა აღნიშნა, — „ყრილობის მუშაობაში გამოიხატა პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის ნება განახორციელონ კომუნისტური მშენებლობის გეგმები, გამოიხატა სურვილი ყველაფერი გააკეთონ მშვიდობის შესანარჩუნებლად, სხვადასხვა სოციალური სისტემის მქონე ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობის უზრუნველსაყოფად“.

კომუნიზმის მშენებელთა ყრილობა — ასე ეწოდა სამართლიანად პარტიის XXI რიგგარეშე ყრილობას, რომელმაც კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის გეგმები დაუსახა ჩვენს ხალხს. ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებები ერთხელ კიდევ მძლავრად გვიჩვენებენ მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების უძლეველობას. ეს გადაწყვეტილებანი გამოხატავენ პარტიის ლენინურ გენერალურ ხაზს თანამედროვე ეტაპზე, უსახავენ საბჭოთა ხალხს, ჩვენს ქვეყანას განვითარების ახალ გრანდიოზულ პერსპექტივებს. ყრილობის ისტორიული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მან, დასახა რა უახლოესი შვიდი წლის პრაქტიკული ამოცანები, ამასთან, თეორიულადაც გააშუქა მის შემდგომ პერიოდში ჩვენი ქვეყნის ძლევამოსილი წინსვლის გზა კომუნიზმისაკენ.

ამიტომაა, რომ ყველა საბჭოთა ადამიანი, მუშა თუ კოლმეურნე, მოსამსახურე თუ მოსწავლე, უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა ყრილობის გადაწყვეტილებებს და ისე როგორც არასდროს მთელი სიმტკიცით დაირაზმა პარტიის ლენინური დროშის გარშემო ამ გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში განსახორციელებლად. მთელი ჩვენი ქვეყანა მძლავრად განიცდის შვიდწლიანი გეგმის პირველი წლის შემოქმედებითსა და შრომით ენთუზიაზმს, საბჭოთა ადამიანები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ თავიანთი წვლილი შეიტანონ პარტიის XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელების საქმეში, კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

ამასთან, ჩვენი პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინაშე დიდი ამოცანა ისახება. ყოველგვარად უნდა უზრუნველვყოთ პარტიის ისტორიულ გადაწყვეტილებათა ღრმად შესწავლა, მათი დაყვანა თვითეულ საბჭოთა მოქალაქემდე.

ამ მხრივ ჩვენს უნივერსიტეტში უკვე გაშლილია მუშაობა და შემდგომში იგი კიდევ და კიდევ უნდა გავაღრმაოთ.

როგორც გაზეთი „პრავდა“ წერს, „XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა ახსნა-განმარტება ხანმოკლე კამპანია როდია. იგი პარტიული ორგანიზაციების ძირითადი ამოცანაა მთელი რიგი წლებისათვის. ამის შესაბამისად უნდა იგეგმებოდეს და შენდებოდეს მთელი პროპაგანდისტული მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა — იდეოლოგიური ფრონტის ყველა უბნის მუშაობა“.

ამ მხრივ უნივერსიტეტის პარტიული ორგანიზაციების უპირველესი ამოცანაა იდეოლოგიური მუშაობის ყველა ბერკეტი და საშუალება აამოქმედონ და დაუქვემდებარონ ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა ფართო ახსნა-განმარტებისა და ღრმად გაგების საქმეს, დარაზმონ ყველა კომუნისტი და უპარტიო აქტივი ყრილობის გადაწყვეტილებათა შესწავლისა და ცხოვრებაში გატარების უზრუნველსაყოფად;

ამ მხრივ ძალიან ბევრის გაკეთება შეუძლიათ და კიდეც უნდა გააკეთონ საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრებმა— ლექციები, მოხსენებები ყრილობის მასალების შესახებ სწორედ ამ კათედრების წევრთა მიერ უნდა იკითხებოდეს. ამასთან, ამ კათედრებმა უნდა უზრუნველყონ სასწავლო დისციპლინების სწავლებასთან დაკავშირებით სათანადოდ დაგეგმონ პარტიის ისტორიულ გადაწყვეტილებათა სწავლების ორგანიზაცია სტუდენტებთან, ისე რომ არცერთი ფაკულტეტის არცერთი კურსის სტუდენტი არ დარჩეს, რომელსაც არ წაეკითხება სპეციალური კურსი პარტიის XXI ყრილობის მასალებზე.

პირველ რიგში სწორედ საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრებმა პარტიული ორგანიზაციების უშუალო ხელმძღვანელობით უნდა უზრუნველყონ, თეორიული კონფერენციების, კათედრების გაერთიანებული სხდომების, ლექციამოხსენებებისა და სხვა ღონისძიებათა ჩატარება ყრილობის მასალების ღრმად შესწავლის მიზნით.

უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა თავიანთ სამეცნიერო და პედაგოგიურ მუშაობაში ყოველთვის შემოქმედებითად უნდა გამოიყენონ ყრილობის მასალები.

განსაკუთრებით ამ მიმართულებით უნდა წარმართონ მთელი თავიანთი მუშაობა აგიტატორებმა როგორც აკადემიურ ჯგუფებში, ისე მოსახლეობაში; უნდა მიაღწიონ იმას, რომ მათი საუბრები იყოს საინტერესო, ჩვენი ცხოვრების კონკრეტულ ამოცანებთან მჭიდროდ დაკავშირებული.

ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად უნდა გარდაიქმნას მთელი სამეცნიერო მუშაობა უნივერსიტეტის ფაკულტეტებზე და კათედრებზე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა თანამედროვე რევიზიონიზმისა და ბურჟუაზიული იდეოლოგიის კრიტიკა. განსაკუთრებით დიდი ამოცანები ისახება ეკონომიური, ბიოლოგიური, ფიზიკის, მექანიკა-მათემატიკის, ქიმიისა და სხვა ფაკულტეტების წინაშე, რომელთაც თავიანთი სამეცნიერო კვლევითი მუშაობით ბევრი რამ შეიძლება გააკეთონ ჩვენი სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობის დიდ საქმეში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ჩვენს წინაშე მდგარი ამოცანების შესახებ საკითხი უკვე განიხილა უნივერსიტეტის პარტიულმა კომიტეტმა და კონკრეტული ღონისძიებანი დასახა ამ გადაწყვეტილებათა ღრმად შესწავლისა და განხორციელებისათვის საბრძოლველად.

ეჭვი არ არის, რომ ჩვენი პარტიული ორგანიზაცია, მთელი ჩვენი კოლექტივი წარმატებით განახორციელებს მის წინაშე მდგარ ყველა ამოცანას, რომლებიც უშუალოდ გამომდინარეობენ პარტიის XXI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებიდან.



სურათებზე: 1. ზემოთ—იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი-აგიტატორები (მარცხნიდან მარჯვნივ) ე. მენაბდიშვილი, გ. ჯავახიშვილი, ც. ხახიაშვილი, თ. ჩხიკვაძე საბოლოოდ აზუსტებენ თავიანთი უბნების ამომრჩეველთა სიებს. 2. აგიტპუნქტის ხელმძღვანელი ამხ. მ. ნემსაძე (ცენტრში) ესაუბრება ახალგაზრდა ამომრჩევლებს მზია ოშხელსა და ლიანა შავგულიძეს.

ფოტო ა. გემჯიანისა

# დიდი პატრიოტული ერთსულოვნებით

მიმდინარე წლის 12 თებერვალს დიდი პატრიოტული ერთსულოვნებით ჩატარდა უნივერსიტეტის სტუდენტთა, პროფესორ-მასწავლებელთა და მუშა-მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრება, რომელიც მიეძღვნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს, თბილისის საქალაქო საბჭოსა და თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების დასახელებას.

ტრიბუნაზეა გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის დეკანი დოც. გ. პატარიძე.

— ჩვენი უნივერსიტეტის სახელოვანი კოლექტივი დიდი პატრიოტული აღფრთოვანებით იბრძვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის დიად ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. კომუნიზმის მშენებელთა ყრილობის მუშაობაში, ჩვენი რესპუბლიკიდან დელეგატად წარგზავნილი იყო გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, ჩვენი უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ამხ. გიორგი სამსონის ძე ძოწენიძე. მე ვფიქრობ, გამოვხატავ უნივერსიტეტის მთელი კოლექტივის ნებასურვილს, თუ ამხ. გიორგი სამსონის ძე ძოწენიძეს დავასახელებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის მელიქიშვილის № 41 საარჩევნო ოლქში.

კრებაზე სიტყვით გამოვიდნენ და წამოყენებულ წინადადებას ერთხმად დაუჭირეს მხარი პროფ. გ. ტივაძემ, სტუდენტმა თ. ზირაქიშვილმა, პროფ. მ. ზანდუკელმა.

კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც თხოვენ ამხ. გ. ს. ძოწენიძეს დათანხმდეს კენჭი იყაროს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქ. თბილისის მელიქიშვილის № 41 საარჩევნო ოლქში.

ტრიბუნაზეა უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივანი ამხ. გ. ჭანუყვაძე. ორატორმა შემოიტანა წინადადება თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 278 საარჩევნო ოლქში დასახელებულ იქნას საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და კულტურის განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. თამარ ვასილის ასული ლაშქარაშვილი.

კრებაზე გამოსულმა ამხანაგებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი დასახელებულ კანდიდატურას.

შემდეგ სიტყვა აიღო დოც. ი. იმნაიშვილმა, რომელმაც თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 277 საარჩევნო ოლქში დაასახელა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრის გამგე, პროფესორი აკაკი გაბრიელის ძე შანიძე. სახელოვანი მეცნიერისა და ღვაწლმოსილი პედაგოგის კანდიდატურას ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი რ. ბასილაშვილმა და ვ. ბუილლიშვილმა.

დოც. გ. გამსახურდიას წინადადება შემოაქვს თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 261 საარჩევნო ოლქში დასახელებულ იქნეს საქართველოს კპ თბილისის კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ამხ. მიხეილ მალაქიას ძე გაფრინდაშვილი.

კრებამ ერთსულოვნად მიიღო გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ამხ. მ. მ. გაფრინდაშვილის კანდიდატურა დაასახელონ თბილისის საქალაქო საბჭოს არჩევნების № 261 სარაჩევნო ოლქში.

ტრიბუნაზეა უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილე ამხ. ი. გოქაძე. მან წინადადება შეიტანა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 288 სარაჩევნო ოლქში დასახელებულ იქნას უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივანი ამხ. გივი დავითის ძე ჭანუყვაძე.

კრებამ ერთსულოვნად დაუჭირა მხარი ამ წინადადებას.

იურიდიული ფაკულტეტის პარტბიუროს მდივანი ამხ. დ. ცინცაძე თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 290 სარაჩევნო ოლქში ასახელებს გამოჩენილ ქართველ მეცნიერ ქალს, უნივერსიტეტის პროფესორს ამხ. თინათინ ვასილის ასულ წერეთელს.

თ. ვ. წერეთლის კანდიდატურას ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი გ. შავგულიძემ და ზ. გაბუნიამ.

წინასაარჩევნო კრებამ გადაწყვიტა — წამოყენებულ იქნას ამხ. თ. ვ. წერეთელი თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 290 საარჩევნო ოლქში.

კრების თავმჯდომარე სიტყვას აძლევს უნივერსიტეტის ფიზკულტურისა და სპორტის კათედრის გამგეს ამხ. ლ. ყანჩაველს.

ჩვენი უნივერსიტეტის კოლექტივი, — ამბობს იგი, — კარგად იცნობს ჩვენს ყოფილ სტუდენტს, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებულ ოსტატს, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს ვახტანგ ბალავაძეს. ნება მიბოძეთ, თქვენი სახელით ამხ. ვახტანგ მიხეილის-ძე ბალავაძე დავასახელო თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 313 საარჩევნო ოლქში.

სახელოვანი ქართველი სპორტსმენის კანდიდატურას ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი კ. შეყილაძემ და ო. ქორქიამ.

იწყება თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების დასახელება.

პროფ. დ. გვრიტიშვილმა ორჯონიკიძის სახელობის რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 40 საარჩევნო ოლქში დაასახელა უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის კათედრის გამგე, პროფესორი რევაზ გრიგოლის ძე ნათაძე.

დოც. პროკლე კეკელიძემ № 78 საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენა უნივერსიტეტის პრორექტორი სასწავლო მუშაობის დარგში პროფ. გრიგოლ გაბრიელის ძე ხავთასი.

დოც. ვ. მაჭარაძემ № 27 საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენა უნივერსიტეტის პრორექტორი სამეცნიერო მუშაობის დარგში პროფესორი სერგი მიხეილის ძე ჟღენტი.

დოც. კ. ნიკოლაიშვილმა და პ. გარუჩავამ კრებაზე შეიტანეს წინადადება № 177 და № 204 საარჩევნო ოლქებში დეპუტატობის კანდიდატებად დასახელებულ იქნენ უნივერსიტეტის ფინანსებისა და კრედიტის კათედრის გამგე, ეკონომიური ფაკულტეტის დეკანი პროფესორი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ქოიავა და უნივერსიტეტის სახელმწიფო სამართლის კათედრის გამგე დოც. გრიგოლ არტემის ძე ერემოვი.



ზამთრის არდადეგების შემდეგ, II სემესტრში უნივერსიტეტი ძირითადად ერთცვლიან მუშაობაზე გადავიდა. 7 თებერვალს უნივერსიტეტი მზად შეხვდა სწავლის განახლებას, ყველა ფაკულტეტმა დროულად გამოაკრა სასწავლო ცხრილები.

**სურათზე:** ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტთა ერთი ჯგუფი ეცნობა თავისი მეცადინეობის ცხრილს.

ფოტო ა. გემჯიანისა



ფიზიკის ფაკულტეტის მეხუთეკურსელი სტუდენტები უკვე შეუდგნენ სადიპლომო შრომებზე მუშაობას.

**სურათზე:** რადიოფიზიკის სპეციალობის მეხუთეკურსელი სტუდენტები: ა. ლობჟანიძე (მარცხნივ) და თ. კოროვკინა (მარჯვნივ) ასისტენტ დ. ყვავაძის ხელმძღვანელობით მუშაობენ თავიანთ სადიპლომო შრომაზე — სანტიმეტრული ტალღების გატარების შემთხვევაში დიელექტრიკებში სიმძლავრის დაკარგვისა და დიელექტრიკული მუდმივის განსაზღვრა.

ფოტო ა. გემჯიანისა

## ჩვენი სტუმრები

საზამთრო არდადეგების დღეებში ჩვენს უნივერსიტეტს ეწვივნენ სხვადასხვა ქალაქების უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა დელეგაციები. 21 იანვარს ჩამოვიდა ქ. ერევნის ახალგაზრდობის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ერევნის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები. გვეწვივნენ ბაქოს უნივერსიტეტის სპორტსმენი სტუდენტები, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ მოტოგადარბენაში, და ქ. ერევანში მოსწავლე უცხოელი სტუდენტები. სტუმრებმა დაათვალიერეს თბილისის ისტორიული ადგილები, გაეცნენ ჩვენი უნივერსიტეტის ცხოვრებას.

29 იანვარს გვეწვივნენ მოსკოვის ნავთობ-ქიმიური და გაზის მრეწველობის ინსტიტუტის სტუდენტები. დელეგაცია შედგებოდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, ალბანეთიდან და მონღოლეთიდან ჩვენს ქვეყანაში სასწავლებლად ჩამოსული ახალგაზრდებისაგან.

მოსკოველი სტუდენტები მოხიბლა საქართველოს დედაქალაქის სილამაზემ, მისმა ბუნებამ, არქიტექტურამ. ექსკურსანტებმა დაათვალიერეს თბილისის შამპანური ღვინოების ქარხანა, იყვნენ გორში და რუსთავში, ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში დაესწრნენ დიდი ქართველი კომპოზიტორის უკვდავ ოპერას — „დაისს". მათ დიდი ინტერესი გამოიჩინეს ჩვენი უნივერსიტეტის ცხოვრებისადმი, კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობისადმი. მოსკოველი სტუმრები მიიღო ჩვენი უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილემ ამხ. ი. გოქაძემ.

ყველგან, სადაც კი იყვნენ ჩვენი სასურველი სტუმრები, გრძნობდნენ ქართულ სითბოსა და სტუმართმოყვარეობას. აი, რა შინარსის დეპეშა მიიღო უნივერსიტეტის ალკკ კომიტეტმა მოსკოველი სტუდენტებისაგან:

„ვტოვებთ რა საქართველოს საზღვრებს, გულწრფელ მადლობას გიძღვნით გულთბილი მიღებისათვის. თბილისური მზე, უფრო მეტად კი თვითეული თქვენგანის გულთბილობა, ჩვენი მანდ ყოფნის განმავლობაში გვითბობდა გულებს. გელით მოსკოვში, გერმანიაში, ალბანეთში, მონღოლეთში.

მოსკოვის ნავთობ-ქიმიური და გაზის მრეწველობის ინსტიტუტის სტუდენტთა ჯგუფი".

დ. წაქაძე

# სანიმუშო პრაქტიკა

## მადლობას ვუხდით

ჩვენი უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის V კურსის ვაჭრობის სპეციალობის სტუდენტებს სასწავლო პროგრამის მიხედვით მესამე საწარმოო პრაქტიკა უნდა გაგვევლო საბითუმო ვაჭრობის ბაზებზე. პრაქტიკის ობიექტებზე თავის დროზე გაგვანაწილეს. ობიექტებად შერჩეულ იქნა მოწინავე სავაჭრო საწარმოები. თანახმად სასწავლო გეგმისა, 1958 წლის 1 დეკემბრიდან შევუდექით პრაქტიკის გავლას. ფაკულტეტის დეკანატმა და დარგობრივი ეკონომიკის კათედრამ პრაქტიკის ხელმძღვანელებად გამოყვეს დოც. მ. ჩარექიშვილი და ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი ე. გველესიანი, რომლებიც პრაქტიკის დაწყების პირველი დღეებიდანვე შეუდგნენ ენერგიულ მუშაობას. ისინი ხშირად მოდიოდნენ საწარმოო პრაქტიკის ობიექტებზე, ამოწმებდნენ სტუდენტთა მუშაობის პირობებს, პრაქტიკაზე მათს გამოცხადებას და გვიხსნიდნენ ჩვენთვის გაურკვეველ ცალკეულ საკითხებს. პრაქტიკის ობიექტის კონკრეტული პირობების ზუსტად გათვალისწინებით, პროგრამის საფუძველზე, მათი უშუალო მონაწილეობით იქნა შედგენილი გაშლილი სამუშაო გეგმა სტუდენტებისათვის, რამაც კარგი შედეგი გამოიღო. თავიდანვე დიდი ყურადღება მიექცა პრაქტიკის ობიექტებზე ხელმძღვანელებად მოწინავე, გამოცდილი მუშაკების შერჩევას.

ერთი ჯგუფი, რომელშიაც ოთხი სტუდენტი შევდიოდით, პრაქტიკაზე მოვხვდით „გლავობუვტორგის" რესპუბლიკურ ბაზაში. მუშაობას თავიდანვე გულმოდგინედ შევუდექით. პრაქტიკის ხელმძღვანელად გამოგვიყვეს ბაზის მთავარი საქონელმცოდნე, გამოცდილი და ენერგიული მუშაკი ს. სტეპანიანი. პირველად ჩვენი ხელმძღვანელი ძალზე მკაცრი გვეგონა, რადგან 10-15 წუთით დაგვიანებისათვის შენიშვნას გვაძლევდა: მაგრამ სამუშაო რეჟიმს მალე შევეჩვიეთ. პრაქტიკის ხელმძღვანელი ენერგიას არ ზოგავდა, რათა სტუდენტებს პროგრამით გათვალისწინებული საკითხები კარგად აგვეთვისებინა. ჩვენთვის საინტერესო ისეთ სპეციფიკურ საკითხებზე პასუხების გასაცემად, რომლებიც უშუალოდ მას არ ეხებოდა, იგი ხშირად თხოვდა ბაზის სხვა მუშაკებს. ამ მიზნით მან რამდენჯერმე შეგვახვედრა ბაზის მთავარ ბუხჰალტერთან, ამხ. ლოჯახიანთან და მმართველის მოადგილე ამხ. ნარგიზოვთან, რომლებიც გვესაუბრენ ხელფასის სისტემაზე, მიმოქცევის ხარჯებზე, საბითუმო ფასზე, იმის შესახებ, თუ როგორ ხდება დათმობა-დარიცხვა საქონელზე და სხვა პრაქტიკულ საკითხებზე.

პრაქტიკის პერიოდში სტუდენტები: ზ. გიგინეიშვილი და ლ. სურამელი მიავლინეს თბილისის საგასავლო ბაზაში, სადაც ისინი გაეცნენ აღნიშნული ბაზის მუშაობას. ამას გარდა, ხელმძღვანელმა პრაქტიკანტები ექსკურსიაზე წაგვიყვანა თბილისის საგალანტერიო ფაბრიკაში და საგარეო ვაჭრობის პალატაში. განსაკუთრებით საინტერესო იყო ექსკურსია სავაჭრო პალატაში. პრაქტიკის ხელმძღვანელი, ამხ. სტეპანიანი თვითონვე გვიხსნიდა მრავალ საინტერესო საკითხს, რომელსაც სავაჭრო პალატა ასრულებს.

პრაქტიკანტებს დიდ დახმარებას გვიწევდნენ ბაზის სხვა თანამშრომლებიც: საქონელმცოდნეები — შ. კირვალიძე, გ. ხვადაგიანი, შ. ღარიბაშვილი; ეკონომისტები — ლ. გოცაძე, თ. მაკაროვა, ლ. ლალიაშვილი და სხვები.

პროგრამით გათვალისწინებული საკითხები ძირითადად ამოვწურეთ. უახლოეს დღეებში დავიწყებთ პრაქტიკის ანგარიშის წერას. იმ უანგარო დახმარებისათვის, რაც პრაქტიკის ნაყოფიერად გავლის საქმეში პრაქტიკის ხელმძღვანელმა ამხ. ს. სტეპანიანმა და მთელი ბაზის კოლექტივმა გაგვიწია, გვინდა ჩვენი გაზეთის საშუალებით დიდი მადლობა გადავუხადოთ მათ.

პრაქტიკანტები: **ა. აბჟანდაძე, ჩ. გიგინეიშვილი, გ. ყუფუნია, ლ. სურამელი.**

# არჩევნები საბჭოთა და ბურჟუაზიულ ქვეყნებში

მიმდინარე წლის 15 მარტს ჩვენი რესპუბლიკის მოქალაქენი აირჩევენ ხელისუფლების უმაღლეს და ადგილობრივ ორგანოებს.

სსრ კავშირის 1936 წლის კონსტიტუციის საფუძველზე ამჟამად ჩვენ ვირჩევთ საქართველოს სსრ მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოსა და მშრომელთა დეპუტატების მეშვიდე მოწვევის ადგილობრივ საბჭოებს.

საბჭოების ისტორია იწყება 1905 წლიდან. პირველად საბჭოები აღმოცენდნენ რუსეთში, მუშათა აღმავალი რევოლუციური მოძრაობის პროცესში, მუშებისავე ინიციატივით. ამიტომ, მაშინ მათ მუშათა დეპუტატების საბჭოები ეწოდებოდათ. ალაგ-ალაგ აღმოცენდნენ აგრეთვე გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებიც.

ვ. ი. ლენინმა იმთავითვე საბჭოებს მშრომელთა მომავალი ხელისუფლების ჩანასახი უწოდა, ხოლო 1917 წელს თავისი ცნობილი „აპრილის თეზისებით" დაასაბუთა, რომ რუსეთში პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივ ფორმას საბჭოები წარმოადგენენ.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად რუსეთში ძალაუფლება საბჭოების ხელში გადავიდა, შეიქმნა საბჭოთა რესპუბლიკა. ასევე, საბჭოებმა აიღეს ძალაუფლება ხელში ჩვენი ქვეყნის დანარჩენ მოკავშირე სოციალისტურ რესპუბლიკებშიც. აქედან გამომდინარე, ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ საფუძველს მშრომელთა დეპუტატების საბჭოები წარმოადგენენ.

საქართველოში პროლეტარულმა რევოლუციამ 1921 წლის 25 თებერვალს გაიმარჯვა, მაგრამ საბჭოებს ამ დღიდანვე არ აუღიათ ძალაუფლება თავიანთ ხელში.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში 1921 წლის 25 თებერვლიდან მოყოლებული, თითქმის ერთი წლის მანძილზე, ქვეყანას მართავდნენ და პროლეტარიატის დიქტატურის ამოცანებს ახორციელებდნენ რევოლუციური კომიტეტები.

პროლეტარული საბჭოები საქართველოში არჩეულ იქნა 1921 წლის ბოლოს და 1922 წლის დასაწყისში. სოციალისტური საქართველოს საბჭოებას პირველი ყრილობა გაიხსნა 1922 წლის 22 თებერვალს. ყრილობაზე მიღებულ იქნა საბჭოთა საქართველოს პირველი კონსტიტუცია, რომლითაც დაკანონდა ჩვენი რესპუბლიკის საბჭოების მთელი სისტემა. ამ დროიდან რევკომების სისტემა გაუქმდა. მან შეასრულა პროლეტარიატის დიქტატურის ერთგვარი გარდამავალი სახელმწიფოებრივი ფორმის როლი.

საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების პირველ ფაზაში საქართველოს სსრ ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს წარმოადგენდა საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა საბჭოების ყრილობა, ყრილობათა შორის პერიოდში — ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, ხოლო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიათაშორის პერიოდში — მისი პრეზიდიუმი. ამჟამად საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, ხოლო უმაღლესი საბჭოს სესიათაშორის პერიოდში—მისი პრეზიდიუმი.

რაც შეეხება ადგილობრივ ორგანოებს, ნაცვლად სოფლის, დაბის, ქალაქის, რაიონისა და ოლქის საბჭოების ყრილობისა, ამჟამად არსებობენ მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი ადგილობრივი საბჭოები, რომელთა ორგანიზაციული მუშაობის ძირითად ფორმასაც საბჭოს სესია წარმოადგენს.

ადგილობრივი საბჭოები პირველივე სესიაზე ირჩევენ თავიანთ შესაბამის აღმასკომებს.

საბჭოები ჩვენი ქვეყნის მშრომელთა პირდაპირი წარმომადგენლობითი ორგანოებია.

უმაღლესი საბჭო ირჩევა 4 წლის ვადით, ხოლო ადგილობრივი საბჭოები — 2 წლის ვადით.

უმაღლესი საბჭოსათვის ჩვენი რესპუბლიკის კონსტიტუციით ყოველ 10 ათას კაცზე ვირჩევთ ერთ დეპუტატს. 15 მარტს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოში, ნაცვლად 355 დეპუტატისა, რა შემადგენლობაც მეოთხე მოწვევის უმაღლეს საბჭოში გვყავდა არჩეული, ავირჩევთ 368 დეპუტატს.

რაც შეეხება ადგილობრივ საბჭოებს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 31 დეკემბრის ბრძანებულების შესაბამისად, დეპუტატთა რაოდენობა მათში საგრძნობლად იზრდება. ასე მაგალითად, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოში, ნაცვლად 2 000 მცხოვრებზე ერთი დეპუტატისა, ამჟამად ყოველ 1 000 მცხოვრებზე ერთი დეპუტატი იქნება არჩეული.

წინა არჩევნებში რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოებში ირჩეოდა არა უმეტეს 60 და არა ნაკლებ 35 დეპუტატისა; ამჟამად არჩეულ იქნება არა უმეტეს 80 და არა ნაკლებ 40 დეპუტატისა; სოფლად და დაბებში კი, თუ წარსულში დებულებით გათვალისწინებული იყო მინიმუმი—35 დეპუტატის არჩევა, ამჟამად არჩეულ იქნება მინიმუმი—20 და მაქსიმუმი—40 დეპუტატი. 20-ზე ნაკლები დეპუტატის არჩევა სოფლად დასაშვებია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თანხმობით ისეთ შემთხვევაში, თუ იქ მოსახლეობა 500 კაცამდეა.

საბჭოები ჩვენი ქვეყნის განვითარების პირველ ფაზაში ირჩეოდნენ შეზღუდული, მრავალსაფეხურიანი და არასავსებით თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ღია კენჭისყრით.

ჩვენს ქვეყანაში მტრულად განწყობილი კლასების ლიკვიდაციამ და სოციალიზმის გამარჯვებამ, შესაძლებელი გახადა ახალი კონსტიტუციით დაგვედგინა საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი არჩევნები, ფარული კენჭისყრით. ამით საბჭოთა დემოკრატია კიდევ უფრო სრულყოფილი გახდა.

ჩვენი კონსტიტუციით, ამჟამად არჩევნებში მონაწილეობას იღებენ საბჭოთა მოქალაქენი თვრამეტი წლის ასაკიდან, განურჩევლად მათი წარსულისა და აწმყოსი, გარდა შეშლილებისა.

ამრიგად, საბჭოთა სახელმწიფოში არავითარ შეზღუდვას, არავითარ ცენზს არჩევნებში ადგილი არა აქვს. ჩვენი ქვეყნის მთელი ხალხი — მუშები, გლეხები, ინტელიგენცია — თვითონ არის ბატონპატრონი და სუვერენულ უფლებათა განმგებელნი. ისინი აძლევენ თავიანთ დეპუტატებს განაწესს, ისმენენ ანგარიშს მათი მუშაობის შესახებ, აყენებენ საკითხს სუსტად მომუშავე დეპუტატთა უკან გაწვევის შესახებ.

სულ სხვა მდგომარეობას აქვს ადგილი ბურჟუაზიულ ქვეყნებში. იქ, ეგრეთწოდებული „წარმომადგენლობითი" ორგანოები მხოლოდ მქონებელთა ნება-სურვილს გამოხატავენ, ხოლო საყოველთაო არჩევნები ფიქციას წარმოადგენს.

ბურჟუაზიულ ქვეყნებში 60-მდე სხვადასხვა შეზღუდვას, ცენზს აქვს ადგილი, რითაც გაბატონებული კლასები აღწევენ ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრებიდან მშრომელთა დიდი ნაწილის გამორიცხვას. ამ შეზღუდვათა შორის უფრო თვალსაჩინოა ბინადრობის, განათლების, ასაკობრივი, ქონებრივი და სხვა ცენზები.

უკანასკნელ პერიოდში რეაქციული ბურჟუაზია ისწრაფვის იქითკენ, რომ პროპორციული საარჩევნო სისტემა, რომელიც შედარებით უფრო პროგრესულია, შეცვალოს მაჟორიტარული საარჩევნო

# სასადილოს მუშაობა უნდა გარდაიქმნას

უნივერსიტეტის მრავალრიცხოვან კოლექტივს ემსახურება სასადილო, რომელიც I კორპუსშია მოთავსებული. ემსახურება, თუკი მომსახურება ჰქვია იმას, რაზეც ამ წერილში გვექნება ლაპარაკი.

ზედმეტია იმის მტკიცება, რომ სასადილოში სანიმუშო სისუფთავე უნდა იყოს, მაგრამ სისუფთავეს სჭირდება დაცვა და ეს სასადილოს მუშაკთა უპირველესი მოვალეობაა. უნივერსიტეტის სასადილოში სანიმუშო სისუფთავის მაგივრად „სანიმუშო ანტისანიტარიაა“: სამრეცხაოში სიბინძურე და უწესრიგობაა, მრეცხავებს მუდამ ჭუჭყიანი ხალათები აცვიათ, მაგრამ შეიძლება ამას კიდევ მოითმენდა კაცი, ჭურჭელს რომ ისე რეცხავდნენ, როგორც საჭიროა. ნახმარ თეფშებსა და დანა-ჩანგლებს ერთხელ ამოავლებენ ნარეცხ წყალში, „გაასუფთავებენ“ ჭუჭყიანი ტილოთი და მოვალეობაც მოხდილია! ამიტომაა, რომ თეფშებს ყოველთვის აჩნია ათასგვარი ლაქა, ხოლო მომხმარებლები ჭამის დაწყებამდე ქაღალდით საგულდაგულოდ წმენდენ დანებსა და ჩანგლებს. სასადილოში დგას ცუდი სუნი, რომელიც სამრეცხაოდან მოდის. სამრეცხაოს კი კარი არა აქვს, თანაც მოთავსებულია შეუფერებელ ადგილას — სამზარეულოს გვერდით, საიდანაც სადილების გაცემა წარმოებს. ასე რომ, სადილის რიგში მდგომთ, სანამ უხარისხო კერძები დაუკარგავდნენ ჭამის მადას, ეს მადა წინასწარ ეკარგებათ, როცა ასეთ სიბინძურეს ხედავენ.

სიბინძურეა პროდუქტების საწყობშიც. შემოწმებისას პურისა და სხვა პროდუქტების გვერდით ეყარა ხმარებიდან გამოსული ქვაბები, ჭუჭყიანი ხალათები და სხვა ნივთები.

შედიხართ სასადილოში და თვალში გეცემათ მაგიდებზე დატოვებული კერძები, რომელთათვისაც მომხმარებლებს მარტო გემო გაუსინჯავთ და მიუტოვებიათ. საჭმელები ერთფეროვანი და უგემურია — ბორშჩი ბორშჩს არა ჰგავს და კატლეტი—კატლეტს. ყოველდღე ისმის საყვედურები — მომხმარებლები სამართლიან გულისწყრომას გამოხატავენ საქმისადმი ასეთი აგდებული დამოკიდებულების გამო. რა ჩემი ბრალია, უხარისხო პროდუქტებით გვამარაგებენო — იმართლა თავი სასადილოს გამგემ — ამხ. კეკერაშვილმა და ყველაფერი სხვებს გადააბრალა.

ერთხელ დამპალი კართოფილისაგან „გემრიელი“ გარნირიც კი გააკეთეს და მომხმარებლებს შეაპარეს. კეკერაშვილმა აქაც გამონახა თავის გასამართლებელი საბუთი — ასეთი კარტოფილი მომცეს და ხომ არ გადავყრიდი, უნდა გამესაღებინაო. ასეთი განცხადების ავტორს განა შეიძლება უნივერსიტეტის კოლექტივის სასადილოს ხელმძღვანელობა მიენდოს?

კერძების უმრავლესობას მარგარინზე ამზადებენ. სასადილოს გამგეს რომ ჰკითხოთ, გეტყვით: ზემდგომი ორგანოების განკარგულებაა — არადიეტური კერძები მარგარინით უნდა დამზადდესო. სინამდვილეში „ზემდგომი ორგანოების“ ამგვარი არავითარი განკარგულება არ არსებობს.

სასადილო უნივერსიტეტის კორპუსებში არსებულ ბუფეტებს ამარაგებს ღვეზელით, რომელსაც მებუფეტეები მანეთად ჰყიდიან. სინამდვილეში კი მისი ფასი მართლაც რომ კაპიკია. სასადილო „თვითღირებულების შემცირების“ მიზნით ღვეზელს ბამბის ზეთით ამზადებს — აქაო და იაფიაო. მაღალია კერძების ფასები. საშუალოდ სადილზე მომხმარებელი ხარჯავს 5-7 მანეთს, და კერძების უხარისხობის გამო ნახევრადმშიერი რჩება, მაშინ, როცა ქალაქის საზოგადოებრივი კვების სხვა ადგილებში თავისუფლად შეიძლება ამდენივე თანხით კაცმა წესიერად ისადილოს.

სასადილოს სისტემატურად არ აქვს მწვანილი, ლიმონათი; თითქმის არასოდეს — ხილი და მინერალური წყლები. ამხ. კეკერაშვილი ალბათ თვლის, რომ მათი მოტანა და გაყიდვა სასადილოსათვის მომგებიანი არაა.

მოდით და ამის შემდეგ ელაპარაკეთ სასადილოს მუშაკებს უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა, სტუდენტთა და მუშა-მოსამსახურეთა მომსახურების უკეთ დაყენებასა და გაუმჯობესებაზე?

ამასწინათ უნივერსიტეტის ადგილკომმა თავის სხდომაზე განიხილა სასადილოს მუშაობის საკითხი და დასახა ღონისძიებანი, რომელთა შედეგად სასადილოს მუშაობა ძირეულად უნდა გარდაიქმნას.

კარგი იქნება, თუ ადგილკომი კვალდაკვალ მიჰყვება მის მიერ დასახული ღონისძიებების განხორციელებას.

**დოც. კ. ნიკოლაიშვილი,**
**ლაბორანტი რ. დავითიანი.**

---

სისტემით. ეს უკანასკნელი მმართველი პარტიისათვის იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ხმების შეფარდებითი ან აბსოლუტური უმრავლესობის მოპოვებით საარჩევნო ოლქებში გაიყვანოს დეპუტატების თავიანთი კანდიდატურები.

ამას მმართველი პარტია აღწევს იმით, რომ მას გააჩნია მატერიალური შესაძლებლობა აგიტაციის ყველა საშუალებათა—პრესის, რადიოსი, ტელევიზიის, კინოსი და ა. შ. გამოყენებისა. ამავე დროს, როგორც მმართველ პარტიას, შეუძლია გამოიყენოს ხალხზე პოლიციური ზემოქმედებაც, სიყალბე (მაგალითად, მკვდარი სულების შეტანა საარჩევნო სიებში) ხმების შესყიდვა და სხვა მაქინაციები. ხშირად რეაქციული პარტიები პროგრესული ძალების საწინააღმდეგოდ ბლოკსაც ქმნიან და მაჟორიტარულ საარჩევნო სისტემის შესაბამისად გამარჯვებასაც აღწევენ.

რაც შეეხება პროპორციულ საარჩევნო სისტემას, მისი შედარებითი პროგრესულობა იმაში გამოიხატება, რომ ამ შემთხვევაში საარჩევნო ოლქში პარტიები თავიანთ დეპუტატებს გაიყვანენ საარჩევნო მეტრის შესაბამისად მოპოვებული ხმების რაოდენობის მიხედვით. პროპორციული საარჩევნო სისტემის დროს ბურჟუაზიულ ქვეყნებში კომუნისტურ პარტიებსაც აქვთ შესაძლებლობა ხელისუფლების ორგანოებში თავიანთი წარმომადგენლების გაყვანისა.

ბურჟუაზიულ ქვეყნებში დამახასიათებელია არჩევნებში პარტიათა შორის ბრძოლა. გარდა კომუნისტური ან მუშათა პარტიებისა, იქ ყველა პარტია ბურჟუაზიულია.

ეს ბურჟუაზიული პარტიები წარმომადგენელნი არიან ბურჟუაზიის, როგორც კლასის შემადგენლობაში მყოფი ფრაქციებისა — მრეწველების, ვაჭრების, ბანკირების, შემამულეებისა და ა. შ. ისინი იბრძვიან არჩევნების ჩატარების ისეთი შედეგების მოპოვებისათვის, რომელიც სასურველი და სასარგებლო იქნება თავისი ფრაქციისათვის, მაშასადამე, იგივე ბურჟუაზიისათვის. არჩევნების როგორი შედეგიც არ უნდა იქნეს მიღებული, სანამ კომუნისტური ან მუშათა პარტია არ იქნება ქცეული მმართველ პარტიად, მშრომელთათვის ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს.

ბურჟუაზიულ პარტიათა შორის საარჩევნო ბრძოლას მათი იდეოლოგები ბურჟუაზიული დემოკრატიის ტრიუმფად აცხადებენ, სწორედ აქედან წარმოდგება ეგრეთწოდებული „სახალხო კაპიტალიზმის“ ცნებაც. სინამდვილეში სწორედ აქ ხდება მათ მიერ სიყალბის, მოტყუებისა და ფარისევლობის აშკარა გამოვლინება.

ჩვენს ქვეყანაში ერთადერთი წამყვანი, ხელმძღვანელი და, მაშასადამე, მმართველი პარტია — ეს არის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია. სხვა პარტიების არსებობას ჩვენს სინამდვილეში არავითარი საფუძველი არ გააჩნია.

სკკპ არჩევნებში გამოდის უპარტიოებთან ბლოკში, ამიტომ საბჭოთა არჩევნები სახალხო ზეიმის სახეს იღებს.

ჩვენი ამოცანაა კიდევ უფრო გავაქტიუროთ საბჭოები მიმდინარე ეტაპზე— კომუნიზმის პრაქტიკულად მშენებლობის პროცესში. ამ მიზნით მის შემადგენლობაში უნდა ავირჩიოთ მოწინავე ადამიანები, ქვეყნის საერთო ინტერესებისათვის თავდადებულნი. მხარი უნდა დავუჭიროთ კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის ღირსეულ კანდიდატებს.

**დოც. გ. ერემოვი**

---

გურამ გიორგაძე

## სულორის წყალი

თავაწყვეტილი მომხდარი სწრაფად.
დაჭრილ ლომივით აქ შეჩერდება,
უცებ იქუხებს და მერე მძაფრად
მთის კალთებს ცეცხლის ალად ედება.

აზვირთებული თოვლისფერ ქაფად,
დადინჯებული ჩაივლის ბარში,
ელნათურებით მოჰყვება ამბავს
და არ დარჩება წამითაც ვალში.

ეს კუთხე ახლა გეცემა თვალში
ზიზღით იგონებს წარსულის ლანდებს;
სულორის წყალი გაჰრილა ხალხში
და ასაზრდოებს მომავლის ვარდებს.

## ბარათაშვილი

იგი ბედშავმა ეპოქამ შობა,
სულით მშფოთვარე, არწივთვალება,
განაწამები ყმაწვილკაცობა,
დიდებულ ფიქრთა ლტოლვა, წვალება.

სამშობლო ზეცას ნისლი ებურა,
ის მერმისს ჭვრეტდა ეპოქის იქით,
ის ლექსებს წერდა, ბორგვით,
მთებურად
და მთების მსგავსად სუნთქავდა იგი.

მას აწვალებდა სიმუხთლე ბედის,
ორმოცდაერთი ლექსის დიდ რაინდს,
მან ვერ მოასწრო დაწერა მეტის
და დროთა ლტოლვას გაუსწრო მაინც.

ჯიმალ ნინუა

* * *

რაო, პატარა მერცხალო,
რაო, პატარა ჩიტუნა? —
გიკვირთ, ასეთი პატარა
რადაა ასე დიდგულა?

თქვენ ხომ გაიგეთ, რა მითხრა,
როცა გულისთქმას დანებდა, —
მას თურმე სხვა ჰყვარებია,
მე როგორ შემიყვარებდა?!.

ნუ სტირი, ჩემო მერცხალო,
ნუ სტირი, ჩემო ჩიტუნა, —
იყოს სულ ასე პატარა,
და მუდამ ასე დიდგულა!

---

ჩვენი უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა და ბაზარზე უკვე იყიდება შემდეგი წიგნები:

⊙ ბ. გურგენიძე, **ელექტროდინამიკა.** წიგნი შეიცავს 384 გვერდს, ჩასმულია მაგარ ყდაში და ღირს 11 მან. წიგნის რედაქტორია ი. მირცხულავა.

⊙ ნ. ლ. უკლება, **საბჭოთა კავშირის წყლის მეურნეობა.** წიგნი, რომლის რედაქტორია მ. საბაშვილი, შეიცავს 400 გვერდს, დართული აქვს დამხმარე რუკები, ჩასმულია მაგარ ყდაში და ღირს 9 მან. და 80 კაპ.

⊙ კორნელი კეკელიძე, **ქართული ლიტერატურის ისტორია.** ძველი ლიტერატურა, II. წიგნი, რომლის რედაქტორია ლ. მენაბდე, შეიცავს 752 გვერდს, ჩასმულია მაგარ ყდაში და ღირს 35 მან.

⊙ კ. ს. ბაქრაძე, **ჰეგელის ფილოსოფიის სისტემა და მეთოდი,** (რუსულ ენაზე). წიგნი შეიცავს 466 გვერდს, ჩასმულია მაგარ ყდაში და ღირს 20 მან.

---

# ა. გ. კობახიძე

ჩვენი უნივერსიტეტის კოლექტივს გამოაკლდა მაღალკვალიფიციური მეცნიერ-მუშაკი, ნიჭიერი და გამოცდილი პედაგოგი, საზოგადოებრივი საქმიანობის აქტიური მონაწილე სკკპ წევრი 1942 წლიდან, რუსული ენის კათედრის წევრი, დოცენტი ალექსანდრე გიორგის ძე კობახიძე.

ალექსანდრე კობახიძე დაიბადა 1899 წელს ქალაქ ბათუმში, მოსამსახურის



ოჯახში. 1910 წელს იგი შედის ბათუმის გიმნაზიაში, სადაც დაყო 1918 წლამდე, ამის შემდეგ სწავლას განაგრძობს ქუთაისის გიმნაზიაში, რომელსაც ამთავრებს 1920 წელს. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ იგი ოჯახური ხელმოკლეობის გამო ვერ ახერხებს სწავლის გაგრძელებას და სოფლის მეურნეობას ჰკიდებს ხელს. მის ოცნებას საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შეესხა ფრთა:

1923 წელს იგი შევიდა ჩვენი უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის სიბრძნისმეტყველების განყოფილებაზე, რომელიც დაამთავრა 1926 წელს. უნივერსიტეტში სწავლასთან ერთად იგი ასწავლიდა რუსულ ენას უმაღლესი ტიპის პოლიტ-სასწავლებლებში.

1930 წლიდან ა. კობახიძე იწყებს მეცნიერულ მუშაობას. წლების განმავლობაში იგი მოღვაწეობდა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიურ ინსტიტუტში, საიდანაც ბეჯითი მუშაობის გამო გაგზავნილ იქნა ლენინგრადში—მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურაში.

ასპირანტურის დამთავრების შემდეგ 1934 წლიდან იგი წარმატებით მუშაობს მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში სხვადასხვა მეცნიერულ თანამდებობაზე.

ამ პერიოდში მან ბევრი გააკეთა ლენინგრადში დაცული ქართული ხელნაწერების შესწავლის საქმეში და სათანადო შრომებიც გამოაქვეყნა. 1939 წელს მან წარმატებით დაიცვა დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

როდესაც ჩვენს სამშობლოს თავს დაესხნენ გერმანელი ფაშისტები და დაიწყო დიდი სამამულო ომი, ამხანაგი ა. კობახიძე მოხალისედ წავიდა ფრონტზე და ლენინგრადის ბლოკადაში რიგით ჯარისკაცად იბრძოდა სამშობლოს დასაცავად. ამ თავდადებისათვის სამშობლომ იგი სამი სახელმწიფო ჯილდოთი დააჯილდოვა.

ომიდან დაბრუნების შემდეგ მას ენიჭება დოცენტის წოდება და კვლავ ხელს ჰკიდებს თავის საყვარელ საქმეს — მეცნიერულსა და პედაგოგიურ მოღვაწეობას; იგი ენერგიულად მუშაობს ლენინგრადის მეცნიერებათა აკადემიაში, უნივერსიტეტში, საჯარო ბიბლიოთეკაში. იგი ავტორია რამდენიმე გამოქვეყნებული და გამოუქვეყნებელი მეცნიერული შრომისა.

1953 წლიდან ა. კობახიძე სამუშაოდ გადმოდის ჩვენს უნივერსიტეტში რუსული ენის კათედრის დოცენტად. თავისი მდიდარი ცოდნით, გამოცდილებით და შრომისმოყვარეობით მან დაიმსახურა ნამდვილი ავტორიტეტი, სიყვარული და გულწრფელი პატივისცემა მთელს ჩვენს კოლექტივში.

ა. კობახიძის ნათელი ხსოვნა მუდამ დაუვიწყარი დარჩება მისი ამხანაგებისა და სტუდენტების გულებში.

**ამხანაგების ჯგუფი**

---

სპორტისმოყვარულთა

## კონკურსი

გრძელდება ჩვენი გაზეთის რედაქციისა და უნივერსიტეტის სპორტული კლუბის გამგეობის მიერ გამოცხადებული „სპორტისმოყვარულთა კონკურსი“. სტუდენტთა საზამთრო სესიების გამო ჟიურიმ საჭიროდ მიიჩნია გააგრძელოს 1-ლი ტურის კითხვებზე პასუხების მიღების ვადა 1 მარტამდე. დღეს ჩვენ ვაქვეყნებთ II ტურის მორიგ 10 კითხვას.

### II ტურის კითხვები

1. ტექსელის ტრაგედიის ერთ-ერთი თვალსაჩინო მონაწილე იყო ამ ცოტა ხნის წინათ ჩვენი ქვეყნის უძლიერესი მოჭიდავე, ამჟამად კი ცნობილი მწვრთნელი. იცნობთ მას?

2. რა ეწოდებოდა რუსეთის პირველ სპორტულ ჟურნალს?

3. რამდენჯერ მოუხდათ თამაში ბასკი ფეხბურთელების წინააღმდეგ ცნობილ ფეხბურთელებს—შ. შავგულიძესა და ა. დოროხოვს?

4. რას ნიშნავს ტერმინი „ტანდემი“?

5. რომელია ფეხბურთელი: რეგეირო ბლასკო, ჟან ტარი თუ შოდედე-სილანი?

6. სსრკ დიდოსტატთა შორის რომელია უხუცესი და რომელია ყველაზე ახალგაზრდა?

7. რას უწოდებენ „ქართულ დავოსს?“

8. ამჟამად პროფესორი დ. იოსელიანი ახალგაზრდობისას ცნობილი სპორტსმენი იყო. მას ჰქონდა დამყარებული . . . . რა დაამყარა მომავალმა პროფესორმა და სპორტის რა სახეში?

9. რომელია მსოფლიოში ყველაზე დიდი სათხილამურო ტრამპლინი?

10. ვინ არიან ამ სურათებზე გამოსახული სპორტსმენები?



# არა ხარ მართალი, გურამ!

(იურისტი სტუდენტის პრაქტიკიდან)

უცნაური თითქმის არაფერი ყოფილა. იყო მოსამართლე, პროკურორი, მდივანი; იყო ცნობისმოყვარეობით სავსე დიდი დარბაზი და მეტი არაფერი. ხმაურობდნენ ახალგაზრდები და კანტი-კუნტადღა იგონებდნენ მთელი წლის უკან მომხდარ ამბავს...

მაშინაც სწორედ აქ, თბილისის პოლიტექნიკურ ტექნიკუმში უცებ შეჩოჩქოლდა ყველა, მაგრამ არ იყვნენ სასამართლოს წარმომადგენლები, არ იყო პროკურორი და ჯერ არ იცოდნენ ამდენი რამ გურამ ავალიშვილის შესახებ.

იგი ტექნიკუმის მე-5 კურსზე სწავლობდა. მას მხოლოდ სადიპლომო ნამუშევარიღა დარჩა და შემდეგ წინ იყო ცხოვრების ფართო გზა, უფრო სასახელო და საამაყო. 1958 წლის 24 თებერვალს გურამ ავალიშვილი სადიპლომო პროექტის კაბინეტში მუშაობდა, ხაზავდა და ითვლიდა თავისი შრომის მონაცემებს, მაგრამ ხელმძღვანელმა ყანჩელმა დაუწუნა გურამს ნამუშევარი და ხელი არ მოუწერა. იწყინა ავალიშვილმა: — განა ამდენი შრომა, ამდენი წვალება წყალში უნდა ჩაიყაროს?! რატომ? მაშინ რა მოელის მას? — სირცხვილი, თავზე ლაფის დასხმა, გაუთავებელი საყვედურები სახლში.

იგი ჯიქურ მიიჭრა ყანჩელთან და კატეგორიულად მოსთხოვა ჩაეთვალა მისთვის სადიპლომო ნაშრომი. როდესაც უარი მიიღო, თვალები აემღვრა, სახე აუკანკალდა, გაწითლდა, ჯიბიდან დანა ამოიღო და პედაგოგს ორჯერ ჩაარტყა...

შემდეგ... შემდეგ არაფერი ახსოვა გურამს (ასე აცხადებს თვითონ). ირგვლივ ყველაფერი აირია, ხალხი აჩოჩქოლდა და თვითონ კი მიმალვა მოასწრო.

რამდენიმე თვეს ეძებდნენ დამნაშავეს, მაგრამ ამაოდ. იგი ყველას თვალთაგან გაქრა, უცებ დაიკარგა, მაგრამ როდემდის გაგრძელდებოდა ასე, სამძებრო განყოფილების მუშაკებმა მიაგნეს მის კვალს და, აი, იგი ახლა თავისი ტექნიკუმის სააქტო დარბაზში ზის როგორც ბრალდებული, სადაც საჩვენებელი სასამართლო პროცესი ტარდება. დიახ, ზის მილიციელებით გარშემორტყმული და უდარდელად აბოლებს პაპიროსს. ყოველ შემთხვევაში, ასე ცდილობს, არ სურს მღელვარება შეიმჩნიოს. დარბაზი კი უამრავი. ნაცნობებითაა სავსე, მისი ძმა-ბიჭებიც თითქმის ყველანი მოსულან, უღიმიან და ამხნევებენ. ისიც ომახიანად, სიამაყით უქნევს ხელს და ანიშნებს, რომ კაჟივით არის, არაფერი უჭირს და არაფერს დარდობს. თუმცა გულში კი გრძნობს, რომ თავისუფლებას არაფერი სჯობია...

მოსამართლე გამოვიდა და ფიქრიც გაუწყდა გურამს. დარბაზი ფეხზე ადგა და ისე მოუსმინა განაჩენს. თვითონ ბრალდებული კი ვითომ უდარდელად დგას და ირონიული ღიმილით უსმენს.

მოქალაქე ავალიშვილმა, — განაგრძობს მოსამართლე, — ჩაიდინა დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 155-ე მუხლით და 75-ე მუხლის მეორე ნაწილით, რისთვისაც სასამართლომ მას მიუსაჯა 5 წლით პატიმრობა უფლების აუყრელად".

დარბაზში მდუმარება დაირღვა და უამრავი წყვილი თვალი დაეცა გურამს. ის კი დგას და ვითომ უდარდელად, ირონიულად იღიმება. შემდეგ ისევ პაპიროსი ამოიღო და ასანთი აანთო.

...არა, ასეთი რა დავაშავე, — ფიქრობს გურამი, — განა ვაჟკაცობა ციხის ღირსია?!. მაგრამ რათ იყურებიან ასე ზიზღით ადამიანები, აი თუნდაც ის მაღალ-მაღალი, კომკავშირის კომიტეტის მდივანი, ან დირექტორი, თვითონ ტექნიკუმის დირექტორი. მანამდე რატომ არ შეუმჩნევია გურამს მათი ბოროტება...

ისევ ძმაბიჭები ამხნევებენ, უღიმიან, ნუ გეშინიაო. ჰმ, როდის შეეტყო გურამს შიში, რა შეამჩნიეს საამისო... ეგეც არაფერი, ხუთი წელი ალბათ მალე გაივლის და შემდეგ... შემდეგ ვნახოთ რა მოხდება.

...და შენ, გურამ, თითქოს მშვიდად უსმენდი განაჩენს, უდარდელად აბოლებდი პაპიროსს და არ გინდოდა შეგემჩნია სინანული... იქნებ გერიდებოდა შენი ამხანაგებისა, რომლებიც მხოლოდ შორიდან გამხნევებდნენ, გაგულიანებდნენ!..

და თუ ნამდვილად სახელი და დიდება გგონია შენი სამარცხვინო თავგადასავალი, არა ხარ მართალი, გურამ!

**ანგი არსენაშვილი,**
იურიდიული ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი.

---



სიტყვა ფოტოგრაფია წარმოდგება ბერძნული სიტყვებისაგან „ფოტოს" და „გრაფეო", რაც ქართულად „შუქწერას" ნიშნავს.

ფოტოგრაფიის აღმოცენების თარიღად 1839 წელი ითვლება, როდესაც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად დაგერმა და ნიეპსმა საფრანგეთში და ტალბოტმა ინგლისში ობიექტივის საშუალებით საგნების შესაბამისი ოპტიკური გამოსახულება ქიმიურად აღბეჭდეს. ფოტოგრაფიის შემდგომი განვითარების საქმეში უდიდესი წვლილი შეიტანეს გამოჩენილმა რუსმა მეცნიერებმა, რომელთა შორის აღსანიშნავი არიან ლევიცკი, ტიმირიაზევი, შილოვი, მენდელეევი, შალიკოვი, ბურინსკი და სხვები.

გადასაღები საგნებიდან არეკლილი სხივების ობიექტივში გატარებით, წარმოქმნილი ოპტიკური გამოსახულების ფოტომასალაზე მოქმედებითა და ქიმიური დამუშავებით ჯერ ნეგატიური და შემდეგ პოზიტიური გამოსახულების ანუ ფოტოსურათის მიღების მთლიან პროცესს ფოტოპროცესი ეწოდება.



მთელი ფოტოპროცესი შეიძლება სამ სტადიად დაიყოს:

1. ფოტოპროცესის პირველი სტადიის ჩატარებისათვის საჭიროა შემდეგი: კასეტის ფოტოაფსკით დამუხტვა, დამუხტული კასეტის ფოტოაპარატში მოთავსება, გადასაღები საგნების მიზნობრივად შერჩევა, მათზე ხედმძებნის საშუალებით ფოტოაპარატის დამიზნება და მანძილების შკალის ან ოპტიკური შორმზომის საშუალებით გადასაღებ საგნებზე ფოტოაპარატის ფოკუსირება.

პირველ სტადიაში წარმოებს აგრეთვე ექსპოზიციის განსაზღვრა — გადასაღები საგნების განათებულობის, ფოტოაფსკის შუქმგრძნობიარობის, ობიექტივის შუქძალისა და ობიექტივის შუქსაფარ-საკეტის გახსნა დახურვის სისწრაფის მიხედვით, და ბოლოს, შუქსაფარ-საკეტის მექანიზმის მომართვა და აშვება. ამის შედეგად მოხდება ფოტოაფსკზე სინათლის სხივების ზემოქმედება, რასაც ფოტოაფსკის ექსპონირება ეწოდება.

2. ფოტოპროცესის მეორე სტადიაში უნდა ვაწარმოოთ ექსპონირებული ფოტოაფსკის სამჟღავნებელში გამჟღავნება, ცივ წყალში სწრაფად გავლება, ჰიპოსულფიტის ხსნარში, ეგრეთწოდებულ გამამაგრებელში გადატანა და გამაგრება, გამდინარე ცივ წყალში ხანგრძლივად რეცხვა და გაშრობა. ამის შედეგად ფოტოაფსკზე მიიღება გამოსახულება, რომელზეც საგნების უფრო განათებული ადგილები შავად მოჩანს, ხოლო უფრო ბნელი (შავი) ადგილები — გამჭვირვალედ. ასეთ გამოსახულებას ნეგატივი ეწოდება.

თანამედროვე სანეგატივო ფოტოაფსკების სინათლის სპექტრის ყველა ფერების მიმართ მგრძნობიარობის გამო მეორე სტადია, ნეგატივის ტექნოლოგიური დამუშავება უნდა ჩატარდეს სრულ სიბნელეში, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ფოტოაფსკი გასინათლდება და მასზე გამოსახულებას ვეღარ მივიღებთ. ამისათვის საჭიროა გამოვიყენოთ შუქგაუვალი ფოტოავზები ძუძუკებიანი აფსკით, ეგრეთწოდებული კორექსით ან სპირალებიანი კოჭით და გამჟღავნება ვაწარმოოთ ბნელ ოთახში.

3. მესამე სტადიაში წარმოებს მიღებული ნეგატივიდან ფოტოქაღალდზე პროექციული წესით ფოტოსურათების დაბეჭდვა, რისთვისაც ვიყენებთ ფოტოგამადიდებლებს. ამავე სტადიაში წარმოებს პროექციული წესით ექსპონირებული ფოტოქაღალდის სამჟღავნებელში გამჟღავნება, ცივ წყალში სწრაფად გავლება, დამაგრება, გამდინარე ცივ წყალში ხანგრძლივად რეცხვა და გაშრობა, რის შედეგად მივიღებთ მზა ფოტოსურათს, რომელსაც პოზიტივი ეწოდება.

მხოლოდ ფოტოპროცესის სამივე სტადიის შეუცდომლად ჩატარების შედეგად მიიღება კარგი ხარისხის ფოტოსურათები. ამიტომ საჭიროა გულდასმით დავაკვირდეთ ნახაზზე მოცემულ ფოტოპროცესის მთლიან სქემას და შემდეგ შევუდგეთ ფოტოგრაფიის შესწავლას მისი ძირითადი საკითხების მიხედვით.

შემდეგ საუბარში ჩვენ გავეცნობით ფოტოაპარატის აგებულებასა და მისი ცალკეული ნაწილების დანიშნულებას.

**გ. ჯოჯუა,**
კინოკაბინეტის გამგე.

---



# შეხვედრა დიდოსტატ მარკ ტაიმანოვთან



13 თებერვალს უნივერსიტეტის სპორტული კლუბისა და ადგილკომის ინიციატივით საინტერესო ღონისძიება ჩატარდა — მოჭადრაკე ახალგაზრდობისათვის: ამ დღეს უნივერსიტეტს ეწვია საბჭოთა კავშირის XXVI საჭადრაკო ჩემპიონატის პრიზიორი, საერთაშორისო დიდოსტატი მარკ ტაიმანოვი.

დიდოსტატმა საკმაოდ მრავალრიცხოვანი აუდიტორიის წინაშე მეტად საინტერესო ლექცია წაიკითხა საბჭოთა კავშირის XXVI საჭადრაკო ჩემპიონატის შედეგების შესახებ.

ლექციის შემდეგ დიდოსტატმა ერთდროული თამაშის სეანსი ჩაუტარა ჩვენს მოჭადრაკეებს 27 დაფაზე. მან 23 დაფაზე გაიმარჯვა, 3 დაფაზე შეხვედრა ყაიმით დაამთავრა და მხოლოდ 1 დაფაზე დამარცხდა.

დიდოსტატთან ყაიმს მიაღწიეს ლ. ყანჩაველმა (ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის გამგე), ლ. უჯმაჯურიძემ (გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი) და ლ. კოსავამ (ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტი).

საინტერესო იყო ფიზიკის ფაკულტეტის პირველკურსელი სტუდენტის ვ. იმნაიშვილის პარტია. ახალგაზრდა მოჭადრაკემ დებიუტში გაათანაბრა რა თამაში, შემდეგში პაიკიც მოიგო და მთელი შეხვედრა ძლიერად ჩაატარა. 21-ე სვლაზე მან ეტლის მხედარში შეწირვით კიდევ უფრო თავისუფალი თამაში მიიღო და თანდათანობით შეხვედრა გამარჯვებამდე მიიყვანა; მეორმოცე სვლაზე დიდოსტატმა თავი დამარცხებულად ცნო. აი, ეს პარტიაც:



**სურათებზე:** ზემოთ — დიდოსტატი ტაიმანოვი ლექციას კითხულობს. ქვემოთ — „კეთდება მორიგი სვლა".

ტაიმანოვი — იმნაიშვილი

1. d4 d5 2 c4 მf6 3 cd ლ:d5 4. მc3 ლd8 5. e4 e6 6. მf3 კb4 7 კd3 მc6 8. 0—0 0—0 9. კg5 კe7 10 ეc1 მ:d4 11. e5 მ:f3+ 12. ლ:f3 მd7 13. ლh3 g6 14. კ:e7 ლ:e7 15. f4 c6 16. მe4 მფg7 17. ეf3 f5 18. მd6 მb6 19. g4 მd5 20. g5 ეd8 21. მფf2 ე:d6 22. ed ლ:d6 23 ლg3 კd7 24. h4 ეd8 25. h5 კe8 26. hg კ:g6 27. ლh4 მb4 28. კe2 ლd4+ 29. მფf1 ლ:b2 30. ე1c3 მd5 31. ეb3 ლc1+ 32. მფg2 b6 33. ეd3 ლc2 34. ლf2 კh5 35 ლd4+ მფg8 36. ეf2 კ:e2 37. ეd2 მ:f4+ 38. ე:f4 ლ:d2 39. ლ:d2 ე:d2 40. თეთრები დანებდნენ.






რ. თავარიანი

ამოცანა

თეთრები: მფf2, ეa5, კa8, პპ: e2, e6, g4 (7);

შავები: მფh2, კh3, პ: e7 (3).

შამათი 5 სვლაში

რედაქტორი ირ. ვეშაპიძე


რედაქციის მისამართი: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი, № 1. ტელეფონი 2-28-34.

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბა-ლითოგრაფია. ი. ჭავჭავაძის გამზირი, № 1. ტირაჟი 1 500. უე 00835.